



A TARIEL ZIVZIVADZE PROJECT

ISBO7 წესები და პროცედურები

ISBO7 რეგისტრაციის ფორმის შევსებითა და გამოგზავნით თქვენ ეთანხმებით ამ წესებს.

თქვენი მოვალეობაა და ეთანხმებით იმას, რომ დაიცავთ ორგანიზატორთა მიერ დადგენილ წესებს და პროცედურებს. ასევე ეთანხმებით იმას, რომ ბნ. ტარიელ ზივზივადის [პროგრამის უშუალო ორგანიზატორი] გადაწყვეტილებით პროგრამის მონაწილეებთან შეთანხმების გარეშე ეს წესები შეიძლება შეიცვალოს [დაემატოს ახალი ან გაუქმდეს ძველი] ნებისმიერ დროს, თუ ამას ბნ. ტარიელ ზივზივადე ჩათვლის საჭიროდ. თქვენ ეთანხმებით იმას, რომ წესებისაგან ნებისმიერი კონკრეტული გადადგომა შეიძლება გახდეს პროგრამიდან თქვენი და/ან თქვენი გუნდის მოხსნის მიზეზი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს არის წესების და პროცედურების მხოლოდ ერთი ნაწილი. სხვა წესები და პროცედურები მოცემულია B-STRAT ტექსტ-წიგნში, სხვანი კიდე მოგეწოდებათ საჭირო დროს ელექტრონული ფოსტით.

მოგესალმებით მეგობრებო,

გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ ქვემდებარე ტექსტს. გარწმუნებთ, რომ ამ წესების და პროცედურების დაცვა თქვენი წარმატების ერთ-ერთი უპირველესი წინაპირობაა. ამ ფაილის წაკითხვამდე აუცილებელია გაეცნოთ **ISBO7** მასალებს და თავად **B-STRAT**-ის ტექსტ წიგნს. მათი წინასწარ წაკითხვის გარეშე წესებისა და პროცედურების დიდი ნაწილი სამწუხაროდ გაუგებარი დარჩება.

B-STRAT წესები და პროცედურები

B-STRAT დასაწყისი: როგორ იწყება ყოველი კონკრეტული სიმულაცია?

B-STRAT-ის ყოველი კონკრეტული სიმულაცია/რაუნდი იწყება იმით, რომ გუნდებს დადგენილი დროისათვის გადაეცემათ [ჩვეულებრივ ელ-ფოსტით მიეწოდებათ]:

- 1) სიმულაციის სცენარი:
 - ✓ სიახლეთა გვერდი;
 - ✓ ბაზრის პროგნოზის ფორმა;
 - ✓ ვარაუდების რუკა;
 - ✓ შეფასების სისტემა [რომელ ადგილს რამდენი ქულა მიენიჭება ყოველ კონკრეტულ წელს];
- 2) ინფორმაცია:
 - ✓ ინფორმაცია კონკურენტი გუნდების შესახებ, საკონტაქტო მონაცემები;
 - ✓ კონკურენტი გუნდების და ინდივიდების ინდექსები;
 - ✓ ფულადი კაპიტალის ქულებში კონვერსიის წესი;
- 3) დამატებითი მასალები:
 - ✓ გადაწყვეტილების ფორმის ნიმუში;
 - ✓ ინდივიდუალური საინვესტიციო ფორმის ნიმუში;
 - ✓ წესები და დამატებითი დეტალები ადმინისტრატორთან კომუნიკაციის სისტემის შესახებ;
 - ✓ მუშაობის გრაფიკი [გუნდების და ადმინისტრატორის დედლაინები];

სხვა დეტალური ინფორმაცია გუნდებს მიეწოდებათ დადგენილ დროს.

დაიმახსოვრეთ:

ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ოლიმპიადის და B-STRAT-ის უშუალო ადმინისტრატორს, ბნ. ტარიელ ზივზივადეს ელ ფოსტით: marnetilc@gmail.com და isbo@isbo.ge. დოკუმენტის ბოლო განახლების თარიღი: ოქტომბერი, 2012

ნებისმიერ დროს შეკითხვით შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროგრამის უშუალო ადმინისტრატორს, ბნ. ტარიელ ზივივაძეს ელექტრონული ფოსტით: marnetllc@gmail.com და isbo@isbo.ge .

კომუნიკაციის სისტემა

შეგახსენებთ, რომ პროგრამა ინტერნეტით მიმდინარეობს, ძირითადად ტესტური კომუნიკაციის მეშვეობით. შესაბამისად დიდი მნიშვნელობა აქვს რომ მოცემული და ყველა სხვა ინსტრუქცია ზუსტად შეასრულოთ და საჭიროების შემთხვევაში არ მოგერიდოთ ადმინისტრატორისათვის შეკითხვების დასმა.

1. რეგისტრაციის ეტაპზე ყოველი მონაწილე გუნდი პროგრამის ადმინისტრატორთან აგზავნის თავის საკონტაქტო ინფორმაციას [წევრების ტელეფონები, მძილები და ა.შ.]. ამ საკონტაქტო ინფორმაციის მიღება აუცილებელია, რათა საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრატორი დროულად შეხმთანოს ჯგუფს ან მის რომელიმე წევრს. ადმინისტრატორი გამოაგზავნის ხოლმე კომპანიათა შედეგებს გუნდის წევრების ელ-საფოსტო მისამართებზე, გუნდის ყველა აქტიური წევრის ელ-ფოსტაზე;
2. თავის მხრივ გუნდებს ექნებათ ადმინისტრატორის საკონტაქტო ინფორმაცია [ორი ელ-საფოსტო მისამართი და მობ. ტელეფონის ნომერი] აუცილებლობის შემთხვევაში დაკავშირებისათვის: marnetllc@gmail.com და isbo@isbo.ge. მობ: +995 77 73 79 64. ამავე ელექტრონულ მისამართებზე კომპანიები აგზავნიან თავიანთ გადაწყვეტილების ფორმებს და შეკითხვებს.

ყოველი ვირტუალური წლის გადაწყვეტილებების ფორმის გაგზავნა დედლაინისათვის:

3. ყოველი ვირტუალური წლის დაგეგმვის მიზნით კომპანიები პროგრამის ადმინისტრატორთან აგზავნიან გადაწყვეტილების ფორმას. გადაწყვეტილების ფორმა არის ექსელის ერთი ფაილი, სადაც გუნდებს შეაქვთ თავიანთი გადაწყვეტილებები. ფაქტიურად ეს არის ვირტუალური კომპანიის ერთწლიანი ბიზნეს გეგმა. მნიშვნელოვანია, რომ გუნდებმა ადმინისტრატორთან გამოაგზავნონ ზუსტად ის ფორმა, რომელიც ადმინისტრატორისგან მიიღეს სიმულაციის დაწყებამდე. **ექსელის ფორმა უნდა აუცილებლად იყოს გაგზავნილი ფორმატის შეცვლის და ყოველგვარი რედაქტირების გარეშე, ის მხოლოდ უნდა შეცვებული იყოს სათანადო ინსტრუქციის შესაბამისად. ფაილი უნდა იყოს 2003 წლის Microsoft Office ფორმატში. ფაილის არასანქცირებულმა რედაქტირებამ შეიძლება გუნდი სერიოზულად დაზარალოს. ფაილში მხოლოდ სათანადო უჯრებში სათანადო ინფორმაცია უნდა იქნას შეტანილი;**

შენიშვნა:

მიმდინარეობს მუშაობა B-STRAT-ის წმინდა ონლაინ ვარიანტის შესაქმნელად, სადაც მოსარგებლის ინტერფეისი მთლიანად გადატანილ იქნება ვებსაიტზე. პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2011 წლის შემოდგომაზე დაიწყო და მის განხორციელებას 2 წელი მაინც დასჭირდება.

4. მონაწილე გუნდები ელექტრონულად აგზავნიან გადაწყვეტილების ფორმებს ადმინისტრატორის ორ სხვადასხვა მეილ მისამართზე: 1) Gmail-ზე მეილ [პრიორიტეტული] მეილ მისამართზე [marnetllc@gmail.com] და 2) კორპორატიულ დომენზე [isbo@isbo.ge]. გამოგზავნის დროს ორივე მეილ მისამართი არ უნდა იყოს ჩაწერილი ერთად "To:" ველში. ერთ მისამართზეც და მეორეზეც ცალ-ცალკე უნდა გაიგზავნოს წერილები გუნდის ერთი კონკრეტული წევრის მიერ მისი ერთი კონკრეტული მეილიდან. ელექტრონულ გზავნილზე თანდართული უნდა იყოს მხოლოდ ექსელის გადაწყვეტილებათა ფორმა. თუ წერილი პრიორიტეტულ მისამართზე რამოდენიმეჯერ მოვიდა, მაშინ ადმინისტრატორი იხელმძღვანელებს დედლაინამდე მიღებული ბოლო

წერილით. თუ გადაწყვეტილებათა ფორმა სხვადასხვა მეილიდან მოვიდა [რაც წინასწარი შეთანხმების გარეშე დაუშვებელია], მაშინ ადმინისტრატორი დამატებით გადაამოწმებს ყველა წყაროს;

5. ელ-ფოსტით გამოგზავნილი გადაწყვეტილების ფორმის ექსელის ფაილის სახელი უნდა იყოს მხოლოდ კომპანიის დასახელება. მაგალითად "c18". c18 არის ინდექსის ნიმუში, რომლის მსგავსი ყოველ გუნდს აქვს და რომელსაც გუნდები მიიღებენ დარეგისტრირების შემდეგ. იგი აიდენტიფიცირებს კონკრეტულ კომპანიას სიმულაციის კონკრეტული რაუნდის ფარგლებში;
6. სიმულაციის ადმინისტრატორისათვის მეილით გაგზავნილი გადაწყვეტილების ფორმის გაგზავნისას მეილის subject line-ში უნდა ეწეროს პროგრამის დასახელება, კომპანიის დასახელება და კომპანიის ინდექსი, რომლებიც ერთმანეთისაგან ტირით იქნებიან გამოყოფილი. ზუსტად ასე: ***** - ***** - ***

შენიშვნა:

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თუ რატომ უნდა იქნას ეს წესები ზუსტად დაცული არის ის, რომ ბნ. ტარიელ ზივზივამე სიმულაციის ერთდროულად რამოდენიმე რაუნდს შეიძლება მართავდეს და ყოველი მიღებული წერილი ავტომატურად უნდა მოხვდეს სათანადო რაუნდის "საქალაქო" წერილის ავტორი გუნდის, რაუნდის და ვირტუალური კომპანიის იდენტიფიცირება ელექტრონულ წერილზე ერთი დახედვითაც უნდა იყოს შესაძლებელი.

7. გადაწყვეტილების ფორმის მიღების შემდეგ პროგრამის ადმინისტრატორი 24 საათის განმავლობაში დაადასტურებს მეილის მიღებას საპასუხო მეილით [გადაწყვეტილების ფორმის შინაარსის მომენტალური შემოწმება არ ხდება]. თუ ამ დროში საპასუხო წერილი არ მოგივიათ, ფორმა ხელახლა უნდა გამოგზავნოთ;
8. გადაწყვეტილებათა ფორმის დაგვიანებით მოწოდებაზე შეიძლება განსაზღვრული იყოს შესაბამისი ჯარიმები. ჯარიმების სისტემა აღწერილია B-STRAT-ის ტექსტ-წიგნში;
9. გახსოვდეთ, რომ ადმინისტრატორი ყოველთვის უპასუხებს თქვენს წერილს მისი მიღებიდან მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში. ჩვეულებრივ კი თუ წერილი მოდის დღის 12:00-მდე, მას პასუხი იმავე დღის მეორე ნახევარში გაეცემა, ხოლო თუ წერილი მოვა დღის 12:00-ის შემდეგ, მას პასუხი მომდევნო დღით გაეცემა. თუ ადმინისტრატორისგან დადგენილ დროში პასუხი არ მოგივიათ აუცილებლად ხელახლა გააგზავნეთ წერილი. კრიტიკულ სიტუაციაში კი შეგიძლიათ ადმინისტრატორთან მობილური ტელეფონით დაკავშირება: + 995 77 73 79 64. თუ ადმინისტრატორი გარკვეული დროით მიუწვდომელი იქნება, შესაბამისი გაფრთხილება აუცილებლად იქნება განთავსებული პროგრამის ოფიციალურ ვებსაიტზე;

სხვადასხვა წესები და პროცედურები

1. B-STRAT დისტანციური პროგრამაა, შესაბამისად ინტერნეტ კავშირს გადამწყვეტი როლი აქვს პროგრამის წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით. აღნიშვნის ღირსია, რომ სტუდენტებმა თავიანთი გადაწყვეტილების ფორმები დაწესებული დედლაინებისათვის უნდა ელ-ფოსტით მიაწოდონ ადმინისტრატორს და ამისათვის მათ გამოყოფილი დრო აქვთ. სტუდენტებმა თავი მაქსიმალურად უნდა დაიზღვიონ იმისგან, რომ ინტერნეტის შეფერხებამ პროგრამაში მათი მონაწილეობას რაიმე საფრთხე შეუქმნას, მაგალითად ბოლო მომენტისათვის არ უნდა დაიტოვონ გადაწყვეტილების ფორმის გამოგზავნა. ინდივიდუალური შეთანხმებები გრაფიკის ცვლასთან დაკავშირებით დაუშვებელია. სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადა შეჯიბრია, ბრძოლაა, სადაც პროგრამის

ადმინისტრატორი - ბნ. ტარიელ ზივზივაძე ვერცერთ გუნდს ან სტუდენტს ვერ მიანიჭებს რაიმე სახის უპირატესობას;

შენიშვნა:

რაუნდის განმავლობაში მხოლოდ ერთადერთხელ და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ დედლაინამდე კონკრეტული გუნდის წარმომადგენელი სტუდენტი ბნ. ტარიელ ზივზივაძესთან მობილურით დარეკავს და ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემის გამო ითხოვს დედლაინის გადავადებას, მას მიეცემა მაქსიმუმ 24 საათი იმისათვის, რომ უახლოეს ინტერნეტ კაფეში ან სათანადო ადგილას მივიდეს და გადაწყვეტილების ფორმის გამოგზავნა შეძლოს.

2. B-STRAT-ის ნებისმიერ რაუნდში მონაწილე სტუდენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი მეილბოქსი არ გაივსოს ისე, რომ ახალი წერილი ვერ მიიღოს. პროგრამაში მონაწილეობისათვის რეკომენდირებულია ისეთი ელექტრონული საფოსტო მომსახურებების გამოყენება, როგორცაა Gmail, Yahoo, Hotmail;
3. B-STRAT-ის წესების თანახმად ყოველ კონკრეტულ წელს კონკრეტულ სიმულაციაში მონაწილე გუნდები იგებენ ვირტუალურ ფულს. წლის შედეგების შესაბამისად გუნდები ერთმანეთთან მიმართებაში იკავებენ გარკვეულ ადგილებს. დაკავებული ადგილიდან გამომდინარე ყოველი გუნდი ყოველ წელს მიიღებს ქულათა გარკვეულ რაოდენობას. ვირტუალური წლების განმავლობაში მონაწილეობის შედეგად გუნდი დააგროვებს ქულების გარკვეულ რაოდენობას, რაც გადამწყვეტია გამარჯვებულთა გამოსავლენად. ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა ქულა მიენიჭება თითოეულ წელს დაკავებულ ადგილს მონაწილეებს მიეწოდებათ სიმულაციის დაწყებისას;
4. დაწესებული დედლაინისათვის კომპანიის მიერ გადაწყვეტილების ფორმის არ გამოგზავნა შედეგად გამოიწვევს იმას, რომ პროგრამაში ჩაიდება ცარიელი გადაწყვეტილებათა ფორმა. მიუხედავად ამისა მომავალი წლის მარკეტინგის ბიუჯეტი მაინც შენარჩუნებული იქნება;
5. დაწესებული დედლაინისათვის კომპანიის მიერ გადაწყვეტილების ფორმის **ორჯერ** არ გამოგზავნა შედეგად გამოიწვევს იმას, რომ კომპანია და მისი წევრები გამოეთიშებიან პროგრამას, კომპანია კი გაიყიდება უახლოეს აუქციონზე [თუ აუქციონი ითვალისწინება კონკრეტულ რაუნდში]. პროგრამიდან გამოთიშვა/მოხსნა ნიშნავს იმას, რომ გუნდი და მისი წევრები ვერ მიიღებენ ვერც პრიზს და ვერც სერტიფიკატს იმ კონკრეტული რაუნდის ფარგლებში;
6. აუქციონის ჩატარების შესახებ [თუ აუქციონი ტარდება] ინფორმაცია და წესები ოლიმპიადის მონაწილე გუნდებს მიეწოდებათ აუქციონის ჩატარებამდე მინიმუმ 2 ვირტუალური წლით ადრე.
7. პროგრამაში მონაწილე გუნდში შეიძლება იყოს 1, 2, 3, ან 4 სტუდენტი. კომპანიის სახელს არჩევენ თავად გუნდის წევრები. მნიშვნელოვანი არის ის, რომ კომპანიის დასახელება უნდა იყოს მოკლე და უნდა შეიცავდეს მხოლოდ ლათინურ სიმბოლოებს ან ციფრებს. მიუხედავად იმისა თუ რამდენი სტუდენტი იქნება გუნდში, სტუდენტის საკუთარ "ყულაბაში" შევა საკუთარი კომპანიის მოგებული ფულის და ქულის მხოლოდ 25 %. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაწყისისათვის პროგრამაში მონაწილე ყოველ სტუდენტს თავის კომპანიაში ავტომატურად ექნება მხოლოდ 25 %. თუ კომპანიაში ერთი წევრია, მაშინ მას ექნება თავის კომპანიაში გადაწყვეტილების ერთპიროვნული მიღების უფლება, მაგრამ შემოსავლის მხოლოდ 25% მიიღებს;
8. გამარჯვებულის გამოვლენის დროს თუ რამოდენიმე ინდივიდს ექნება ერთიდაიგივე შედეგი და გადასაწყვეტი იქნება გამარჯვებულის, სერტიფიკატის, ადგილის ან შემდეგ ეტაპზე გასვლის საკითხი, ამ შემთხვევაში გადაწყვეტი იქნება შემდეგი ფაქტორები

შემდეგივე რიგის მიხედვით [ჯერ ელიტ რაუნდში და შემდეგ შესარჩევ რაუნდში]: 1) რომელიმე კონკრეტულ წელს რომელი სტუდენტის გუნდმა დაიკავა უმაღლესი ადგილი, 2) რომელს ჰქონდა ნაკლები საჯარიმო სანქციათა საერთო რაოდენობა;

9. საჭიროების შემთხვევაში ყოველი კონკრეტული რაუნდის გრაფიკი შეიძლება შეიცვალოს ადმინისტრატორის მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში გრაფიკის ცვლილებიდან მინიმუმ 72 საათი მინც ექნება გუნდს, რომ მიიღოს გადაწყვეტილებები და გამოაგზავნოს ფორმები;
10. თუ პროგრამის მონაწილე რომელიმე გუნდი კონკრეტულ რაუნდს წაგებით დაასრულებს, ანუ დადგენილი რაოდენობის ვირტუალური წლის განმავლობაში კომპანიის მოგებული წმინდა მოგების სიდიდით მინუსში აღმოჩნდება, გუნდის ვერცერთი წევრი ვერ მიიღებს ვერც ადგილს, ვერც სერტიფიკატს და ვერც რაიმე პრიზს მიუხედავად დაგროვილი ქულების რაოდენობისა;
11. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე გუნდი მნიშვნელოვნად დაზარალდება სხვა გუნდის მიერ მის მიმართ გამოვლენილი და დოკუმენტურად დადასტურებული ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედების [მაგალითად მეილბოქსში ჰაკერული შეღწევა] შედეგად [დადგენას იმისა, თუ რა დოზის იყო ზარალი, აწარმოებს პროგრამის ადმინისტრატორი] ადმინისტრატორმა შეიძლება დაზარალებულ გუნდს შესთავაზოს მინიმუმ ორი "საკომპენსაციო" წინადადება. რომელიც არ უნდა აარჩიოს დაზარალებულმა კომპანიამ, ყველა ვარიანტი სამართლიანი კომპენსაცია იქნება [არც გადამეტებული და არც შემცირებული] კომპანიისათვის;
12. B-STRAT-ის ან მთლიანად ოლიმპიადის რაიმე წესის ან პროცედურის დარღვევის გამო გუნდი მაშინ დაჯარიმდება, როცა კონკრეტული დარღვევა აღმოჩენილ იქნება ადმინისტრატორის მიერ. ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 2 ვირტუალურ წელიწადს;
13. სიმულაციის რაუნდის ბოლო წლის შედეგების პაკეტში შევა ყველა გუნდის ყველა შედეგი და ინფორმაცია, რათა გუნდებმა ნახონ ერთმანეთის შედეგები. ბოლო წლის გეგმის შედგენისას დაჯარიმების შემთხვევაში ჯარიმები ავტომატურად მოაკლდებათ იმავე წლის მარკეტინგის ბიუჯეტს;
14. შედეგების გასაჩივრების შესახებ:
 - a. B-STRAT-ის კონკრეტული რაუნდის კონკრეტული ვირტუალური წლის შედეგები ყოველ გუნდს ელ-ფოსტით გაეგზავნება. რაუნდის ყოველ მონაწილეს აქვს 24 საათი იმისათვის, რომ გაასაჩივროს შედეგები და შესაბამისი წერილი მისწეროს ადმინისტრატორს. თუ საჩივარი დაკმაყოფილდა ადმინისტრატორის მიერ მაშინ მას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში სრულიად გააუქმოს ბოლო ვირტუალური წლის შედეგები და დანიშნოს გადათამაშება. მსგავსი პრეცედენტი საქმიანობის 14 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო;
 - b. B-STRAT-ის კონკრეტული რაუნდის დასრულების შემდეგ ყოველ გუნდს ელ-ფოსტით გაეგზავნება ყველა გუნდის შედეგი, ყველა კვლევის ფორმის და გამარჯვებულთა სიის ჩათვლით. რაუნდის ყოველ მონაწილეს ეძლევა 24 საათი იმისათვის, რომ გაასაჩივროს შედეგები და შესაბამისი წერილი მისწეროს ადმინისტრატორს. თუ საჩივარი დაკმაყოფილდა ადმინისტრატორის მიერ მაშინ მას უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში სრულიად გააუქმოს ბოლო ვირტუალური წლის შედეგები და დანიშნოს წლის გადათამაშება. მსგავსი პრეცედენტი საქმიანობის 14 წლის განმავლობაში ჯერ არ მომხდარა;
15. დაუშვებელია აუქციონზე ნაყიდი კომპანიით მოგებული კაპიტალით საინვესტიციო საქმიანობის წარმოება;

16. თუ გუნდი რომელიმე ვირტუალურ წელს არ გამოაგზავნის გადაწყვეტილებათ აფორმას, გუნდის ყოველ წევრს ეკრძალება საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება იმ კონკრეტულ წელს;
17. პროგრამის მონაწილეს ადმინისტრატორთან დაკავშირების რამოდენიმე გზა აქვს. მათ შორისაა 1) ელ.ფოსტა, 2) მობ. ტელეფონი, 3) skype. თუმცა პრიორიტეტული არის ელექტრონული ფოსტის გამოყენება. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ადმინისტრატორმა შეიძლება გუნდისგან/სტუდენტისგან ითხოვოს კომუნიკაციის რომელიმე ერთი საშუალების გამოყენება.
18. ISBO7 მენეჯერისა და B-STRAT ადმინისტრატორის მიმართ დასმული შეკითხვების თაობაზე:
- პროგრამის მონაწილეს სრული უფლება აქვს ადმინისტრატორს მისწეროს ისეთი შეკითხვები, რომლებიც ეხება:
 - ტექსტ-წიგნში მოცემული მასალის ახსნას [მაგალითად გაუგებარია და მონაწილე ითხოვს განმარტებას];
 - ადმინისტრატორის მიერ გამოგზავნილი წლის შედეგების, კვლევების და საერთო ფაილების ახსნას;
 - ადმინისტრატორის მიერ ვებსაიტზე დადებული გამოხმაურებების ახსნას;
 - წესების განმარტებას;

ამ ტიპის შეკითხვებზე ადმინისტრატორი გასცემს ამომწურავ პასუხებს. ჩვეულებრივ გამოგზავნილი შეკითხვების დაახლოებით 90% ამ კატეგორიაში ხვდება.
 - B-STRAT სიმულაციაში არის თემები, რასაც ადმინისტრატორისგან მხოლოდ მაშინ გაიგებს მონაწილე თუ იკითხავს, მაგრამ რომ იკითხოს, იქამდე უნდა "მივიდეს". ამ თემებთან დაკავშირებით არასად არ წერია და არც ეწერება. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა მონაწილე მიხვდება სიმულაციის განსაკუთრებულ ნიუანსს, იკითხავს და ადმინისტრატორისგან განსაკუთრებული სიამოვნებით პასუხობს ხოლმე. ამ კატეგორიაში ხვდება გამოგზავნილი შეკითხვების დაახლოებით 1%.
 - თუ მონაწილე დასვამს ისეთ შეკითხვას, სადაც რჩევას ითხოვს, თუ როგორ შეიძლება კონკრეტულ სიტუაციაში მოიქცეს, ასეთი შეკითხვაზე ადმინისტრატორი რა თქმა უნდა არ უპასუხებს. ადმინისტრატორი ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს. ყველამ თვითონ უნდა მიიღოს თავისი გადაწყვეტილება და იპოვოს გამოსავალი. შეჯიბრის მთავარი იდეაც ამაშია. ამ კატეგორიაში ხვდება გამოგზავნილი შეკითხვების დაახლოებით 3%.
 - თუმცა, არის თემები, რომელთა თაობაზე შეკითხვებს ადმინისტრატორი არ უპასუხებს და არც შეკითხვებს/პრეტენზიებს/მცდარ დაშვებებსა და მოსაზრებებს/ბრალდებებს არ მიიღებს. ეს საკითხებია:**
 - რატომ არის მაგალითად ოლიმპიადის მიმდინარეობის ეტაპები "ასეთი"?
 - რატომ ტარდება ოლიმპიადა ისე, როგორც ტარდება?
 - რატომ არის სცენარი "ასეთი" და არა "ისეთი"?
 - რეალობაში სხვანაირადაა და აქ, სიმულაციაში რატომაა ასე?
 - და ა.შ.

ამ კატეგორიაში ხვდება გამოგზავნილი წერილების საერთო რაოდენობის დაახლოებით 5-6%.

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრატორი ყოველთვის თავს არიდებს **d ჯგუფის** წერილებზე პასუხის გაცემას, შეკითხვების გამოგზავნა ზოგჯერ მაინც ხდება და ხანდახან მონაწილეთა მხრიდან პრეტენზიების და უსაფუძვლო ბრალდებების სახესაც კი იღებს. მეტიც, ხანდახან გამიზნულად ხდება ასეთი შეკითხვების გამოგზავნა. ადმინისტრატორი წყვეტს თუ როგორი წესები იქნება, როდის იქნება

დედლაინები, რა სცენარით წარიმართება შეჯიბრი, როდის იქნება და რამდენჯერ იქნება აუქციონი და ა.შ.

იმ შემთხვევაში თუ ISBO7-ის ნებისმიერი ეტაპის მონაწილისგან მიღებულ იქნება **d ჯგუფის** შეკითხვა, პირველ ჯერზე ადმინისტრატორი მას რა თქმა უნდა აუხსნის წესებს და იმას, რომ სტუდენტი ცდება დაწესებულ ზღვარს. შემდეგ კი, თუ განმეორებით მოვა იგივე ადამიანისგან ამავე კატეგორიის შეკითხვა/გამოხმაურება, შესაძლოა ადმინისტრატორმა მიმართოს კრიტიკულ ზომას: კონკრეტული ინდივიდი ან კომპანია მოხსნას პროგრამიდან.

ISBO7 დამატებითი წესები და პროცედურები

1. ოლიმპიადის განმავლობაში ორგანიზატორთა მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული ყველა დრო არის თბილისის დრო GMT+4;
2. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში სერტიფიკატის, რეკომენდაციის ან რაიმე პრიზის ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში საფოსტო ხარჯებს თავის თავზე იღებს მიმღები მხარე. ოლიმპიადის საორგანიზაციო გუნდი უზრუნველყოფს მხოლოდ გაგზავნის პროცესს რომელიმე საერთაშორისო ოპერატორის მეშვეობით;
3. გამარჯვებულისათვის მოგებული საპრიზო თანხის გადახდა მოხდება საბანკო ანგარიშსწორებით. საერთაშორისო გადარიცხვის შემთხვევაში მომსახურების საკომისიოს გადახდა ეკისრება მიმღებ მხარეს;
4. ISBO7-ში მონაწილეობის და გამარჯვებისათვის ბრძოლის უფლება აქვთ მხოლოდ მსოფლიოს სხვადასხვა სასწავლებლის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტებს, რომლებიც რეგისტრაციის მომენტში არიან სტუდენტები;
5. ISBO7-ის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე ISBO7-ის უშუალო ორგანიზატორმა - ბნ. ტარიელ ზივზივამემ გუნდებისაგან შეიძლება დამატებით მოითხოვოს მისი წევრების სტუდენტობის დამადასტურებელ დოკუმენტები [უნდა იყვნენ მსოფლიოს ნებისმიერი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტები], რომლებიც გაცემული უნდა იქნას უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ მისსავე ოფიციალურ ბლანკზე დაწერილი დოკუმენტის სახით. თუ აღმოჩნდება, რომ გუნდის წევრთაგან რომელიმე არ არის სტუდენტი, გუნდი და მისი წევრები გამოეთიშებიან ოლიმპიადას. დოკუმენტზე, რომელიც შეიძლება დასკანერებული სახით ელექტრონული ფოსტით იქნას მოწოდებული, აუცილებლად უნდა მითითებული იყოს სასწავლებლის საკონტაქტო ინფორმაცია. მოთხოვნიდან გუნდს ექნება მინიმუმ 2 კვირის ვადა, რა ვადაშიც უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის დაწესებულ ვადაში არ მოწოდების შემთხვევაში გუნდი ავტომატურად ჩაითვლება ოლიმპიადიდან მოხსნილად. ოლიმპიადის პარტნიორი სასწავლებლების სტუდენტების გუნდებისაგან ამ ტიპის დოკუმენტის წარმოდგენა არ არის საჭირო;
6. ოლიმპიადის ყველა კონკრეტულ ეტაპზე იქნება ეს შესარჩევი ეტაპი თუ ელიტ რაუნდი, კონკრეტული სტუდენტი ოფიციალურად უნდა იყოს დარეგისტრირებული მხოლოდ ერთ გუნდში. პროგრამის ადმინისტრატორი თავიდანვე ახდენს რეგისტრირებული სტუდენტების გადამოწმებას.

7. მთლიანად ოლიმპიადის ფარგლებში გამართული ნებისმიერ რაუნდში მონაწილეობის დროს სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი გარე დახმარება. სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადა არ არის თეორიული შეჯიბრი მაგალითად ტესტის დაწერაში და თეორიული ცოდნის გამომჟღავნებაში. ეს არის რეალური ბრძოლა რეალური პრიზისათვის. ამიტომაც ის უპირატესობები, რომლებიც ნებისმიერ ბიზნეს რეალურ ბიზნესში შეუძლია გამოიყენოს [ცოდნა, კავშირები, უნარები და ა.შ.] B-STRAT-შიც მოდელირებულია;

შენიშვნა:

ოლიმპიადის ადმინისტრატორთან [ბნ. ტარიელ ზივიზივამე] კონკრეტული სიმულაციის მიმდინარეობისას [შეკითხვის დასმის და ა.შ. მიზნით] კავშირზე უნდა გამოვიდეს მხოლოდ მონაწილე სტუდენტი ან სტუდენტთა გუნდი. არცერთ პირს, რომელიც ოფიციალურად რეგისტრაცია არ აქვს გავლილი და რომელიმე სტუდენტს/გუნდს ეხმარება [ეს წესებით დაიშვება], უფლება არ აქვს დაუკავშირდეს ოლიმპიადის ადმინისტრატორს მიმდინარე სიმულაციის ნიუანსებთან დაკავშირებით შეკითხვით. ფაქტის პირველად დაფიქსირებისას ოლიმპიადის ადმინისტრატორი მხოლოდ შენიშვნით შემოიფარგლება, პირს აუხსნის წესებს და ინფორმაციას ღიად განათავსებს ოფიციალურ საიტზე. ფაქტის განმეორების შემთხვევაში ოლიმპიადის ადმინისტრატორი იტოვებს უფლებას გუნდი/სტუდენტი მოხსნას ოლიმპიადიდან დაუყოვნებლივ.

8. აუქციონი არის B-STRAT-ის შემადგენელი ელემენტი, რომელიც გაიმართება მხოლოდ ელიტ რაუნდში. ყოველ ინდივიდს შეეძლება თავისი სახელით და ვირტუალური ფულით მიიღოს მონაწილეობა და ამ გზით მოხდება მისი ვირტუალური ქონების და ვირტუალური ფულით დიფერენცირება ყველა სხვა სტუდენტისაგან, მათ შორის მისივე გუნდის წევრი სხვა სტუდენტებისაგანაც. თუ რამდენი აუქციონი ჩატარდება წყვეტს პროგრამის ადმინისტრატორი.
9. ხშირად ეწვიეთ საიტს - www.isbo.ge . ინფორმაციის უდიდესი ნაწილი გუნდებს მათ ელ-საფოსტო მისამართებზე მიეწოდებათ, თუმცა ზოგიერთი შეიძლება მხოლოდ საიტზე დაიდოს;
10. B-STRAT-ის ის რაუნდები, რომლებიც ჩატარდება ოლიმპიადის შესარჩევ და ელიტ რაუნდებში კარდინალურად განსხვავდება. შესარჩევ რაუნდზე ჩატარდება **საბაზო სიმულაცია**, სადაც გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს. მხოლოდ ელიტ რაუნდში საბაზო სიმულაციას დაემატება დამატებითი მოდულები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდივიდების შეჯიბრს. კერძოდ:
 - a. ელიტ რაუნდში გამოიყვლება სიმულაციის პროდუქტი. შესარჩევ რაუნდში გუნდები აწარმოებენ და ყიდნიან მუსიკალურ ცენტრებს. ელიტ რაუნდში კი პროდუქტი იქნება მრავალფუნქციური მობილური smart მოწყობილობა. ასეთი რამ პირველად მოხდება B-STRAT-ის ჩატარების 14 წლიანი ისტორიის მანძილზე;
 - b. ასევე პირველად B-STRAT-ის ჩატარების 14 წლიანი ისტორიის მანძილზე გუნდებს შეეძლება რეგისტრირებული ალიანსების შექმნა და ბაზარზე საერთო ინტერესების დაცვა;
 - c. მხოლოდ ელიტ რაუნდში ჩატარდება აუქციონი, სადაც სრული მასშტაბით მოხდება დიფერენცირება სტუდენტებს შორის;
 - d. მხოლოდ ელიტ რაუნდში დაემატება საინვესტიციო პროგრამა, რომელიც ყოველ სტუდენტს ინდივიდუალურად საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების საშუალებას მისცემს;
 - e. მხოლოდ ელიტ რაუნდში საბოლოო შეფასება მოხდება არა მხოლოდ ქულებით, არამედ დაგროვილი ფულადი კაპიტალის მიხედვითაც. ელიტ რაუნდის ბოლოს თითოეული ინდივიდის მიერ დაგროვილი ვირტუალური ფული "კონვერტირდება" ქულებში. ქულების და მოგებული ფულის თავსებადობის სისტემა ცნობილი გახდება ელიტ რაუნდის დაწყებამდე;

11. ყოველი სტუდენტი ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის ISBO7 ორგანიზატორისაგან მიიღებს მხოლოდ ერთ სერტიფიკატს. ასევე ერთ სერტიფიკატს მიიღებს მისი პედაგოგი. დამატებით, ოლიმპიადის პარტნიორ ორგანიზაციას უფლება აქვს დააწესოს პრიზი, მათ შორის სერტიფიკატიც რაიმე დამსახურებისათვის.
12. დოკუმენტირების შესახებ: პროგრამის ადმინისტრატორი ინახავს და გარკვეული პერიოდულობით არეზერვებს მთლიანად ოლიმპიადის განმავლობაში ნებისმიერ ეტაპთან დაკავშირებული ელექტრონული კომუნიკაციის ასლებს, ყველა გაგზავნილ თუ მიღებულ წერილს, ყველა დადასტურებას და არა მხოლოდ;
13. ელიტ რაუნდში არ ჩატარდება გუნდების მიერ საწყისი კაპიტალის მოსაპოვებელი ტესტი. ყველა გუნდი სიმულაციას დაიწყებს თანაბარი თანხით, რომელსაც ISBO7 ადმინისტრატორი განსაზღვრავს;
14. იმ გუნდებმა, რომლებმაც ელიტ რაუნდის საგზური შესარჩევ რაუნდებში მოიპოვეს, ელიტ რაუნდისათვის ხელახალი რეგისტრაციისას უნდა დაიცვან შემდეგი წესები:
 - a. გუნდი/კომპანია ინარჩუნებს თავდაპირველ სახელწოდებას. სახელის გამოცვლა მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ გუნდი იპოვის სპონსორს, რეალურ კომპანიას, რომელიც მას სარეგისტრაციო მოსაკრებელს გადაუხდის. ამ დროს გუნდს უფლება ეძლევა სპონსორის სახელით მიიღოს ელიტ რაუნდში მონაწილეობა;
 - b. გუნდში/კომპანიაში არ შეიძლება ჩაემატოს დამატებითი ინდივიდი;
 - c. გუნდს/კომპანიას შეიძლება გამოაკლდეს ერთი ან რამოდენიმე წევრი;

და რაც მთავარია

თუ რომელიმე აქ მოცემული წესი ეწინააღმდეგება თქვენთვის მოწოდებულ რომელიმე წესს, პრიორიტეტი ენიჭება ბნ. ტარიელ ზივზივამის მიერ თქვენთვის ბოლოს მოწოდებულ წესს.

საბოლოო და უმნიშვნელოვანესი რჩევა გუნდებს:

ნუ ეცდებით წესების "დეფორმირებას" და თქვენს თავზე მორგებას!!!

დაიხსომეთ, რომ თქვენ მოქმედებთ ვირტუალურ ბიზნეს რეალობაში, რომელიც რამოდენიმე ვირტუალური წლის განმავლობაში რეალური ბიზნეს სამყაროს კანონზომიერებებით კი ვითარდება, მაგრამ მისი 100%-იანი ასლი არ არის. გირჩევთ ყურადღებით წაიკითხოთ და ზუსტად დაიცვათ ყველა ის ინსტრუქცია, რომელთაც ბნ. ტარიელ ზივზივამე თქვენ მოგაწვდით. თუ თქვენ შეკითხვა გაგიჩნდებათ, ყოველთვის შეგიძლიათ მისწეროთ მას ელ-ფოსტით, მაგრამ მიუხედავად იმისა დაგაკმაყოფილებთ თუ არა თქვენ მიღებული პასუხი, თქვენ მაინც ვალდებული ბრძანდებით ამ წესების თანახმად იმოქმედოთ.

წარმატებებს გისურვებთ!